შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

№ 00007016

13/05/2025

"შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2023 წლის 08 მაისის N4606 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში შევიდა ცვლილებები, რის გამოც საჭიროა მისი დამტკიცება ახალი რედაქციით.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების და კოლეჯის ხარისხის მენეჯერის 2025 წლის 13 მაისის N6958 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი სოფიო

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2025 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში -კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და პროგრამის გაუქმების პროცედურებს.

2. აღნიშნული წესი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) შემუშავება, განხორციელება და შეფასება ეყრდნობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება

1. პროგრამის დამატება ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენას. პროგრამის მიზანშეწონილობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) პროფესიული განათლების მასწავლბელი/მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა გარე ინიციატორი წარუდგენს კოლეჯის დირექტორს განსახილველად წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ; (ინიციატივა დასტურდება კვლევებით /დამსაქმებლის ინიციატივით)

ბ) ხარისხის მექანიზმების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილი ფაქტორი, რომელიც წარედგინება დირექტორს ხარისხის მენეჯერის ანგარიშის საფუძველზე;

გ) მეორეული კვლევის შედეგების საფუძველზე-რეგიონალური, სხვა ორგანიზაციების/ დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევა;

დ) კოლეჯის მიერ პროგრამათა სპექტრის გაფართოვება, მისიის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში.

3. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

4. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების შესახებ ღებულობს კოლეჯის დირექტორი, რომელიც ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

5. გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ იღებს კოლეჯის დირექტორი შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე;

6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შესაძლოა კოლეჯმა შეიმუშავოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამა: სამუშაოზე დაფუძნებული (კოოპერაციული), ასევე პროგრამა, რომლითაც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა (დუალური) და პროგრამას, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სხვა;

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობს კოლეჯის დიერქტორის მოადგილე ან საამისოდ გამოყოფილი პირი.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯში დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს: კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები (პროგრამის მოთხოვნილი სპეციფიკის გათვალისწინებით,

დირექტორის გადაწყვეტილების მიხედვით) შესაბამისი დარგისა და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები, დაინტერესებული მხარეები, პარტნიორი ორგანიზაციები, სხვა პირები დირექტორის გადაწყვეტილებით.

2. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მენეჯერს რევიზიის მიზნით. რევიზია ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის შესაბამისად.

4. ხარისხის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი გადაეგზავნება დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. თუ გამოიკვეთა ხარვეზები ხარისხის მენეჯერის დასკვნაში დოკუმენტი უბრუნდება დასკვნასთან ერთად სამუშაო ჯგუფს, რათა მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

5. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია, თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“ ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

6. პროგრამით განსაზღვრული უნდა იყოს:

- პროგრამის სახელწოდება;
- სარეგისტრაციო ნომერი;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- მიზნები;
- კვალიფიკაციის დონე;
- კვალიფიკაციის აღწერა;
- დასაქმების შესაძლებლობა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების დეტალური აღწერა;
- პროგრამის სტრუქტურა;
- დამატებითი ინფორმაცია;
- კვალიფიკაციის მინიჭება;
- არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

7. პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დანართებს:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;
- პროგრამის მოდულები(ზოგადი/პროფესიული);
- სასწავლო გეგმა;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა;
- სავალდებულო ლიტერატურა /სასწავლო რესურსი;
- მასალა/ნედლეული;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სხვა სავალდებულო დანართი არსებობის შემთხვევაში.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში უნდა ჩანდეს შემდეგი ინფორმაცია: მოდულის ტიპი (ზოგადი, პროფესიული, არჩევითი) (საჭიროების შემთხვევაში), მოდულის მოცულობა,

სამუშაო გარემო, დისტანციური სწავლების შესაძლებლობა.
9. პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლებისსაშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს.
10. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. მესამე დონის პროგრამებს ემატებათ ქართული ენის (A2, 15 კრედიტი) მოდული. ხოლო მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებს ემატება ქართული ენის ორივე მოდული (A2 და B1, ჯამში _ 30 კრედიტი). ქართული ენის მოდულები ნარჩუნდება, როგორც დუალური ასევე ინტეგრირებული პროგრამების შემუშავების დროს
პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა დარჩეს.
11. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები ასეთის არსებობის შემთხვევაში და შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული. კოლეჯს შეუძლია საერთოდ ჩახსნას არჩევითი მოდულები.
12. პროგრამის არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პროგრამის კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.
13. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.
14. დირექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი პაკეტი:
ა) პროფესიული პროგრამა;
ბ) პროგრამის შემუშავების პროცესში გამოკვეთილი სხვა საჭირო დოკუმენტები:
გ) ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან/ პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის განხორციელების ადგილი, ხოლო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამის შემთხვევაში - პარტნიორი საწარმოები;
დ) სწავლების განხორციელების მიდგომები (სასწავლო გარემოს მიხედვით/სასწავლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო კრედიტების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა) მიზანშეწონილობის დოკუმენტი;
ე) სასწავლო და პრაქტიკულ გარემოში საკონტაქტო საათების გადანაწილების ცხრილი.
15. პროგრამა, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 2 წელი.
16. პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. მოდულის ადაპტირება

1. სტანდარტის დოკუმენტის ადაპტირების შემდეგ უნდა განხორციელდეს მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირება.
2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებს სავალდებულოა გაუკეთდეს თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N--, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი, მოდულის განხორციელების წელი) და მიეთითოს პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დანართებად.
4. მოდული შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

- მოდულის „ზოგადი ინფორმაცია“ მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
    - მოდულის სახელწოდება;
    - მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;
    - გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი;
    - მოცულობა კრედიტებში;
- მოდულის „სტანდარტული ჩანაწერები“მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
    - სწავლის შედეგები;
    - შესრულების კრიტერიუმები ;
    - კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები ;
    - შეფასების მიმართულება;
    - სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში;
- მოდულის „დამხმარე ჩანაწერები“ მოიცავს:
    - სწავლის შედეგის ნუმერაციას;
    - თემატიკას;
    - სწავლებისა და შეფასების მეთოდებს;
    - მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის;
    - სასწავლო რესურსი;
    - საათების განაწილების სქემა;
    - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ან შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის;

5. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტში მოყვანილი გარემოებებისა.
6. "სტანდარტულ ჩანაწერებში" "შესრულების კრიტერიუმებისა" და "კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების" სვეტების ქვეშ ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება გამოწვეულია შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით.
7. მოდულში დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა სათანადო დასაბუთებით.
8. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი ან წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, კოლეჯი შესაძლებლობა აქვს ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში ცენტრი).

მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა

1. სტანდარტის დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს სასწავლო გეგმა.
2. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1“ მოდულებისათვის.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისად შეიცლება სწავლების სავარაუდო

ხანგრძლივობაც.
5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ სამ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.
6. კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, თუმცა პროგრამის/მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით კვირეული დატვირთვა შესაძლებელია იყოს 30-ზე ნაკლები.

მუხლი 6. პრქტიკის ობიექტი
1. დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროგრამის პროექტს, უნდა დაერთოს ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობის შესახებ.
2. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:
ა) პრაქტიკის ობიექტისა და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
ბ) პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
გ) პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართები;
დ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამონათვალი;
ე) პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდოულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
ვ) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებები პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
ზ) ხელშეკრულების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს;
თ) პრაქტიკის ობიექტის/ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს;
ი) გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებას ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების შეჩერების ან ჩამორთმევის თაობაზე კოლეჯის ინფორმირების შესახებ გონივრულ ვადებში 7 კალენდარულ დღეში.
3. პარტნიორი ობიექტის შერჩევისას პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;
ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;
გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია კოლეჯის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა
1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის

შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის ცვლილების შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

3. პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

4. პროგრამაში, რომელის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას გულისხმობს, განხორციელებული ცვლილებების ინიცირება უნდა ეცნობოს საწარმოს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, თანხმობის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს კოლეჯსა და საწარმოს შორის შეთანხმება.

5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარულიდღით ადრე.

6. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს განემარტოთ მათი უფლება - კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა.

8. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია 5 სამუშაო დღეში მიიღოს გადაწყვეტილება და გამოხატოს თანხმობა დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

8. მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაგადაეგზავნება ხარისხის მენეჯერს რევიზიის მიზნით.

10. პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1 არსებული პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) პროგრამაზე აპლიკანტთა დაბალი მომართვიანობა;

ე) პროფესიული სტუდენტების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა.

2 პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის

შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

3. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

4. პროგრამის გაუქმებამდე, კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სხვა პროფერსიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

5. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის შესაბამისობას.

6. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

7. პროგრამის გაუქმების შემდეგ, კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

8. არსებული პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის მიზნით.

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება/განვითარება

1. პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

2. კოლეჯს,პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

3. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

4. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 10. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. წინამდებარე მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით.